საინფორმაციო წერილი:

სამხრეთ კავკასიის მედიატორ ქალთა ქსელის წევრებმა თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს

თარიღი: 12 ოქტომბერი, 2018 წ.

ადგილი: სამხრეთ კავკასია

მოგახსენებთ, რომ ოფიციალურად დაარსდა სამხრეთ კავკასიის მედიატორ ქალთა ქსელი, ამავე ქსელის წევრების მიერ თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შედეგად.

ღონისძიება გაიმართა 2018 წლის 25-29 სექტემბერში (ანტალია, თურქეთი) სამხრეთ კავკასიის მედიატორ ქალთა ქსელის (NWMSC) სამუშაო შეხვედრაზე. ქსელის წევრებს ტრენინგი სამშვიდობო მედიაციისა და ქსელურ მუშაობაში ჩაუტარდათ. ტრენინგის მონაწილენი შეთანხმდნენ ქსელის მოქმედების ძირითად პრინციპებზე, შეიმუშავეს ქსელის საბაზო დოკუმენტები და სამოქმედო გეგმა. სამხრეთ კავკასიის მედიატორ ქალთა. სამშვიდობო მედიაციის ტრენინგისა და სამუშაო შეხვედრის ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყო ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ საქართველოში (EUMM) და შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის გლობალურმა ქსელმა (GPPAC).

სამხრეთ კავკასიის მედიატორ ქალთა ქსელი (NWMSC) **ეყრდნობა** რა დემოკრატიის, ღიაობისა და ურთიერთნდობის პრინციპებს, აერთიანებს კონფლიქტური რეგიონებიდან ქალებს, რომლებიც ბოლო 20 წელია მუშაობენ სამშვიდობო პროცესების ხელშესაწყობად, აქვთ დიდი გამოცდილება კონფლიქტის პრევენციის, მშვიდობისმშენებლობის, ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობაში სამხრეთ კავკასიაში.

სამხრეთ კავკასიის მედიატორ ქალთა ქსელის **მიზანია,** ადგილობრივ ქალ-მედიატორთა ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროსა და კონფლიქტის შემდგომ ეტაპებზე. ამ შედეგის მისაღწევად ქსელის **ამოცანაა,** გაზარდოს ადგილობრივ მედიატორ ქალთა ჩართულობა მრავალარხიან დიპლომატიაში, განსაკუთრებით კი მაღალი დონის მოლაპარაკებებში; ხელი შეუწყობს ქალ-მედიატორთა მონაწილეობის ლეგიტიმაციასა და მათი როლის საყოველთაო აღიარებას.

ამგვარად, ქსელის საქმიანობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ არსებული რეზოლუციის 2030 სამშვიდობო გეგმის განხორციელებაშიც, ვინაიდან აღნიშნულ რეზოლუციაში ქალ-მედიატორთა როლის გაძლიერება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

სამხრეთ კავკასიის მედიატორ ქალთა ქსელი 2017 წლის ნოემბერში დაარსდა კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ინიციატივით (www.ICCN.ge).

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: